პროფერტილი® ქალი

## სპეციალურად შექმნილი ფორმულა უშვილო ქალებისათვის.
## გამოიყენება ორსულობის დაგეგმვიდან ორსულობის 3 თვემდე

პროფერტილი ქალი არის სპეციფიურად შექმნილი პრეპარატი ქალის უშვილობის სამკურნალოდ.

ერთის მხრივ პროფერტილი ამზადებს ქალის ორგანიზმს ორსულობისათვის და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს სწორედ იმ ნივთიერებებით ორგანიზმის გამდიდრებას, რომლებზედაც ორსულობის საწყის პერიოდშია მოთხოვნილება.

ქალის ჰორმონალური სისტემა არის კომპლექსური, რომელიც მრავალი ფაქტორის გავლენას განიცდის. ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებთან ერთად დიდ როლს თამაშობს ორსულობაზე გარემო ფაქტორების მოქმედება, როგორიცაა სტრესი, დაძაბულობა, მავნე ნივთიერებები, (ნიკოტინი, ალკოჰოლი და ა.შ.), მძიმე გარემო და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

საერთო ჯამში რასაკვირველია ყველა ამ ფაქტორს დიდი როლი ენიჭება ორსულობის ჯანსაღ მიმდინარეობაზე ოპტიმალური პირობების შექმნაში.

**ორსულობისათვის მზადება დედის ორგანიზმში საკვები ნივთიერებების მარაგის შექმნის გზით:** ემზადება რა ქალი ორსულობისათვის სპეციფიური საკვები ნივთიერებების მიღებით უზრუნველყოფს როგორც საკუთარი სხეულის ოპტიმალურ მომზადებას, ასევე თავისი ბავშვის ჯანმრთელ მდგომარეობას. ფოლიუმის მჟავა და ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავა იდეალურ შემთხვევაში სასურველია ორსულობის დადგომამდე. იგი საუკეთესოდ ამზადებს ქალის ორგანიზმს ბავშვისათვის საკმარისი რაოდენობის ნივთიერებებით.

**რეგულარული ციკლი:** მენსტრუალური ციკლის პირველი ნახევარი ესტროგენდომინირებულია. ამ ჰორმონის გავლენით ორგანიზმი სიფრთხილის ზომებს იღებს შესაძლო დაორსულებისაგან. კვერცხუჯრედი მწიფდება საკვერცხეში, საშვილოსნოს ენდომეტრიუმი ემზადება.

კვერცხუჯრედის გამოტყორცნით მე-14 დღეს იწყება ციკლის მეორე ნაწილი – ის არის პროგესტერონ-დომინირებული. კვერცხუჯრედი კვერცხსავალი მილის გავლით მიემართება საშვილოსნოსაკენ. თავისი გადაადგილების გზაზე მას შეუძლია სპერმატოზოიდით განაყოფიერდეს. ყვითელი სხეულის ჰორმონი (პროგესტერონი) აფერხებს ენდომეტრიუმის ჩამოშლას და ამით უზრუნველყოფს პირველ დღეებში ორსულობის შემდგომ არსებობას. თუ არ მოხდა განაყოფიერება, ყვითელი სხეული კვდება – ორგანიზმი მენსტრუაციის გზით იშორებს ახლა უკვე უსარგებლო საშვილოსნოს შიგნითა გარსს. სისხლდენის დამთავრების შემდეგ ციკლი იწყება ახლიდან.

**ოპტიმალური ჩანერგვა (ჩასახვა):** კვერცხუჯრედი განაყოფიერდება რა და მიაღწევს საშვილოსნოს შიგნითა გარსამდე, მას შეუძლია უკვე მომზადებულ გარსში ჩანერგვა. პროგესტერონის მუდმივი მოქმედებით ფერხდება საშვილოსნოს შიგნითა გარსის ჩამოშლა. სხვაგვარად ორსულობის განვითარება არ მოხდება. რამდენადაც ამ ფაზაში მომავალი დედის იმუნური სისტემის ფუნქცია უმნიშვნელოდ დაქვეითებულია, გაყოფილი კვერცხუჯრედი, როგორც ორგანიზმისათვის უცხო სხეული, არ აღიქმება და არ ირღვევა. ორსულობის ამ ადრეულ ფაზაში ემბრიონი ძალიან მგრძნობიარეა დამაზიანებელი ფაქტორების მიმართ, რომელთაც ასე ადრეულ განვითარების სტადიაში ორსულობის შეწყვეტა შეუძლიათ.

**ინტაქტური (სრულყოფილი) ლიბიდო** წყვილების უმრავლესობაში, რომელთაც დიდი ხანია ბავშვის გაჩენა სურთ, ხელს უწყობს წარმატებულ განაყოფიერებას. ინტიმური ურთიერთობა არის არა მარტო პარტნიორის სურვილის გამოხატულება, არამედ სწრაფვა ბიოლოგიური შედეგისკენ – განაყოფიერებისკენ. ერთად ყოფნა არ არის მხოლოდ მოწოდება “ორსულობის” დევიზის ქვეშ, სქესობრივი კავშირი წყვილისათვის მნიშვნელოვანია. ეს ფსიქოლოგიური მომენტები სათანადოდ ვერ ფასდება შვილის ყოლისაკენ სწრაფვის გზაზე. ამ დროს ხდება ფსიქოლოგიურად უწყვეტი ჰორმონალური ცირკულაციის ზეგავლენა და შესაძლოა ეს წარმოადგენდეს ორსულობისათვის ბარიერს.

ამას გარდა ქალებში ბავშვის ყოლის სურვილით ჩნდება დამატებით სპეციფიურ და განსაკუთრებულ ნივთიერებებზე მოთხოვნილება, საჭირო და მნიშვნელოვანია მრავალი ვიტამინი და მიკროელემენტი ორსულობის ოპტიმალური მომზადებისა და მისი ჯანსაღი მიმდინარეობისათვის.

**პროფერტილი ქალი არის ზუსტად შერჩეული ასორტიმენტი ორსულობის მიმდინარეობის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად.** ცალკეული ამ კომპონენტების მოქმედების შესახებ არის უკვე მეცნიერული კვლევა.

PROFERTIL® female — პროფერტილ® ქალი

**ჩვენება: ქალის უშვილობა,** რომელიც დაკავშირებულია შემდეგ მიზეზებთან:

- ოვულაციის დარღვევები
- ლუთეინური ფაზის უკმარისობა
- საკვერცხეების პოლიკისტოზი
- საკვერცხეების ფუნქციის ნაადრევი განლევა
- ინფექციურ-ანთებითი პროცესები
- უცნობი ეტიოლოგიის უშვილობა

## პროფერტილი ქალის შემადგენლობა:

| შემადგენელი ნივთიერებები | დოზა | მოქმედება |
|---|---|---|
| 1 რბილი კაფსულა | | ორსულობისთვის მზადება |
| ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავა | 500 მგ | |
| 1 ტაბლეტი | | |
| ფოლიუმის მჟავა | 800 მკგ | |
| სელენი | 70 მკგ | რეგულ. ციკლი და ოვულაცია |
| ვიტამინი E | 30 მგ | ჩასახვა |
| მწვანე ჩაის ხის ექსტრ. კატეხინები | 4 მგ | |
| ძირტკბილას ექსტრ. გლიცირიზინი | 12 მგ | |
| ბატატის დიოსგენინი | 32 მგ | |
| დამიანას ექსტრაქტი | 90 მგ | ლიბიდო |

## მიღების წესი

1x + 

დღიურად 1 კაფსულა და 1 ტაბლეტი მცირე რაოდენობით წყალთან ერთად ჭამის დროს ან ჭამის შემდეგ. ტაბლეტის მიღება ყოველთვის იდეალურია რბილ კაფსულასთან ერთად.

## მიღების ხანგრძლივობა

ორსულობის დაგეგმვიდან ორსულობის მესამე თვის ბოლომდე.

## განსაკუთრებული მითითება

იგი არ ანაცვლებს სრულყოფილ და მრავალფეროვან კვებას.

ჯანსაღი ცხოვრების წესს უნდა მიექცეს ყურადღება.

დღიურ დოზას არ უნდა გადააჭარბოთ.

შეინახეთ მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს ოთახის ტემპერატურისა.

## გამოშვების ფორმა

პროფერტილ ქალი შეფუთულია 28 დღის დოზა (1 თვის) და 84 დღის დოზა (სამი თვის).

## დისტრიბუცია

ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში - შპს “ელელგრუპ”

ტელ: + 995 32 2238107
+ 995 599 178525
+ 995 591 900347

ელ. ფოსტა: info@llgroup.ge
www.pro-family.com

## მწარმოებელი

Lenus Pharma GesmbH
ქ. ვენა / ავსტრია
წარმოებულია ევროკავშირში

პროფერტილ ქალი არის პროდუქტი ლენუს ფარმას მიერ მოწოდებული პროფემილის რიგიდან. გაეცანით ასევე შემდგომ პროდუქტებს, როგორიცაა პროპრეგნა - ორსულობის განმავლობაში და პროგლანატ - ლაქტაციის პერიოდში. და **პროფერტილი მამაკაცებისათვის, რომლის მიღებაც თქვენი პარტნიორის მიერ, მნიშვნელოვნად ზრდის თქვენი დაორსულების შანსს.**

PRO FAMILY

PROFERTIL® female & male — ორსულობამდე

PROPREGNA® — ორსულობის პერიოდში

PROGLANAT® — ლაქტაციის პერიოდში